ხელშეკრულება № 129

გამარტივებული შესყიდვის შესახებ

დ.მესტია **23.09.2019 წელი**

ერთის მხრივ მესტიის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“),მისი მერი კაპიტონ ჟორჟოლიანი მეორეს მხრივ შპს „ორისი” (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), და მისი დირექტორი დავით გოთოშია,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ს[1]” ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე: CPV 72260000

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია: 3 ერთმომხმარებლიანი ერთვალუტიანი A01S/U (რომელთაც ერთმანეთთან ქსელით დაკავშირებაა შესაძლებელი) ორისის პროგრამის ელექტრონული განახლება.

1.2. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 642.2 (ექვსასორმოცდაორი ლარი და 20 თეთრი) ლარს.

1.3 დაფინანსების წყარო: **მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური ხარჯებიდან.**

2. მომსახურების მიღება – ჩაბარება

2.1 მიმწოდებელმა მომსახურება უნდა გაწიოს 2019 წლის 1 ოქტომბრამდე.

2.2 საქონლის (მომსახურების) მიწოდების ადგილია მიმწოდებლის მისამართი ალ. ყაზბეგის გამზ N 12ბ.

3. ანგარიშსწორება

3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3.2. ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან” განხორციელდება ლარებში.

3.3. შემსყიდველს უფლება აქვს აწარმოოს გადარიცხვები ზედნადები/ანგარიშფაქტურის წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების 3 სამუშაო დღეში რომელსაც განახორციელებს მიმწოდებელი.

4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

4.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

4.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

4.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან ,,შემსყიდველისათვის” პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5. უფლებების გადაცემა

5.1. ,,მიმწოდებელმა" ,,შემსყიდველს" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების

შეუსრულებლობის გამო

7.1. ,,შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, ,,მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრული მოცულობით ან მისი ნაწილი.

ბ) თუ ,,მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. ,,შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ ,,შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ ,,მიმწოდებლის" საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02 %-ს ოდენობით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. ,,შემსყიდველს" უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი. ,,შემსყიდველმა" წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს ,,მიმწოდებელს", ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

8.2. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა" და ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. ,,შემსყიდველმა" და ,,მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ,,შემსყიდველი" და ,,მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. გამოყენებული სამართალი

11.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

13. შეტყობინება

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

14.2. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.

15. გადასახადები და ბაჟები

15.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15.2. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

15.3. ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს მის ნაწილს და მოქმედებს ამ ხელშეკრულებასთან ერთად.

შემსყიდველი:

მესტიის მუნიციპალიტეტი,

მისამართი: მესტია, სეტის მოედანი N1

საკონტაქტო ტელ: 577920600

საბანკო რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა

ანგ. № 30004100000

ს/კ: 235895046

მესტიის მუნიციპალიტეტის მერი:

Mestia Municipality

Digitally signed by Mestia Municipality
Date: 2019.09.25 16:58:25 +04'00'

/ სანტონ ჟორჟოლიანი /

მიმწოდებელი: შპს „ორისი“

მისამართი: საქართველო, თბილისი, ალ ყაზბეგის გამზ. 12 ბ, V სართ.

საკონტაკტო ტელ: 238–43–43. 238–39–94. 238–3996

საბანკო რეკვიზიტები:

ს.ს. ,,საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი

ბ/კ: BAGAGE22

ანგ. № GE88BG0000000120121601

ს/კ: 206033754

Ltd ORIS

Digitally signed by Ltd ORIS
Date: 2019.09.26 12:59:57 +04'00'

დირექტორი :

/ დავით გოთოშია /

დანართი N129 ხელშეკრულების

პროგრამასთან მუშაობის დაწყებამდე ყურადღებით გაეცანით სალიცენზიო ხელშეკრულებას!

სალიცენზიო ხელშეკრულება.

სალიცენზიო ხელშეკრულება წარმოადგენს იურიდიულ დოკუმენტს თქვენს (საბოლოო მომხმარებელს) და შპს ორისს შორის. პროგრამის დაყენებით კომპიუტერზე, მისი კოპირებით, ან მასთან მუშაობის დაწყებით, თქვენ იძლევით თანხმობას შეასრულოთ ხელშეკრულების ყველა პირობა. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ ეთანხმებით ხელშეკრულების პირობებს, თქვენ არ გაქვთ იურიდიული უფლება ისარგებლოთ პროგრამით. ასეთ შემთხვევაში არ დააყენოთ პროგრამა კომპიუტერზე. პროგრამის შეძენიდან ორი კვირის განმავლობაში თქვენ გაქვთ უფლება დააბრუნოთ პროგრამის დაუზიანებელი სრული კომპლექტი, მასში შემავალი ნაბეჭდი და სხვა თანმხლები მასალა. ამის შემდეგ თქვენ დაგიბრუნდებათ მისი სრული საფასური.

საავტორო უფლება.

კომპიუტერული პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს შპს ორისის საკუთრებას და დაცულია კანონით.

სალიცენზიო უფლებები.

პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, თქვენ გაქვთ უფლება იმუშაოთ თქვენს ერთ კომპიუტერზე, ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში – ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

უფლებების გადაცემა

თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, თქვენ უნდა გადასცეთ მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თქვენს კომპიუტერზე წაშალოთ პროგრამის ყველა ასლი.

შეზღუდული გარანტია

მომხმარებლის მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შპს ორისი უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს ორისის ტერიტორიაზე. შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში გაქვთ უფლება მიიღოთ პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს ორისის მიერ აღნიშნულ ვადაში.

გარანტიების არარსებობა

პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია “როგორც არის” ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს თქვენს ყველა მოთხოვნას. შპს ორისი არ გაძლევთ გარანტიას, რომ პროგრამა

უშეცდომოა. შპს ორისი არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შპს ორისი წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ.

არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

შემსყიდველი:

მესტიის მუნიციპალიტეტი,

მისამართი: მესტია, სეტის მოედანი N1

საკონტაქტო ტელ: 577920600

საბანკო რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა

ანგ. № 30004100000

ს/კ: 235895046

მესტიის მუნიციპალიტეტის მერი:

Mestia Municipality

Digitally signed by Mestia Municipality
Date: 2019.09.25 16:58:55 +04'00'

/კაპიტონ ჟორჟოლიანი /

მიმწოდებელი: შპს „ორისი“

მისამართი: საქართველო, თბილისი, ალ ყაზბეგის გამზ. 12 ბ, V სართ.

საკონტაკტო ტელ: 238–43–43. 238–39–94. 238–3996

საბანკო რეკვიზიტები:

ს.ს. ,,საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი

ბ/კ: BAGAGE22

ანგ. № GE88BG0000000120121601

ს/კ: 206033754

Ltd ORIS

Digitally signed by Ltd ORIS
Date: 2019.09.26 13:00:28 +04'00'

დირექტორი : / დავით გოთოშია /